სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება#606/06

ქ.თბილისი **2023 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), და მეორე მხრივ ფ/პ გრიგოლ ქურციკიძე (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის შეაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში თხევადი აზოტის გენერირების სისტემის (ინვენტარიზაციის კოდი A0002817) აღდგენის მომსახურების (50400000 - სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3 427.20 (სამი ათას ოთხას ოცდაშვიდი ლარი და 20 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს სასწორის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო მომსახურებისა თუ საქონლის(ნაწილის) ღირებულებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი უნდა შეაკეთოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის შეკეთება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი #3 (თსუ II კორპუსი).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

4.2.შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდბელს საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება დამატებითი ანაზრაურების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით)

უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, გამოვლენიდან არაუგვიანეს 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.3. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, წუნის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსიილია მოსთხოვოს მიმწოდებელს დაწუნებული ნაწილის საკუთარი სახსრებით შეცვლა წუნის გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

4.5. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო ანგარიშფაქტურის თანდართვით, „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/ სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

5.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე არის: თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი და თსუ რესურსების მართვის უფროსი

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2.ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელიუფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებსხელშეკრულების ღირებულების 2(ორი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება დამოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოსანაზღაურება.

7.4. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/დაარაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობითდადგენილი წესით.
7.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.
8.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:
ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.
ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე

არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება; განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე; მოითხოვოს მომსახურებაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე; შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

10.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების მიხედვიტ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება;

11. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და საგარანტიო პირობები

11.1. შესყიდვის ობიექტის, (გამოცვლილი/შეკეთებული) ნაწილის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევიდან 1 (ერთი) წლის ვადით რომლის განმავლობაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წუნი/ხარვეზი აღმოფხვრას, მწარმოებლის საგარანტიო პირობების მიხედვით.

11.2. საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მომსახურების გაწევისას, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოსმიერ.

13. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების განსაზღვრული სხვა ვადებისა.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

14.2. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**ფ/პ გრიგოლ ქურციკიძე** ტელ: +995 577 960 489
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ.№1	**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი ბი სი ბანკი” **ა/ა** GE18TB738945061600007
რეკვიზიტები: *ეკონომიკური შემოსავლები*	**პირადი ნომერი:** 21001030161
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548	

Digitally signed by Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.07.19 18:53:58 +04'00'

Grigoli Kurtsikidze 21001030161
Digitally signed by Grigoli Kurtsikidze
Date: 2023.07.28 13:37:56

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი